1941

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1941 წ. 31 დეკემბერი № 26 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

152. სარეწაო საბჭოს სისტემაში ზოგიერთი სარეწაო კავშირების ლიკვიდაციის შესახებ.

153. საქართველოს სსრ ჯანსახკომთან ევაკოგოსპიტლების სამმართველოს და წითელი არმიის ავადმყოფ და დაჭრილ მებრძოლთა და მეთაურთა მომსახურეობის დამხმარე კომიტეტის შექმნის შესახებ.

154. საქართველოს სსრ საშუალო სკოლის X კლასების მოსწავლეთა სამხედრო-ფიზიკური მომზადებისათვის საათების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

155. საშუალო და არასრული საშუალო სკოლების 7—10 კლასების მოსწავლეთა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ჩაბმის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

156. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის შესახებ.

157. სანახაობათა და გასართობების გადასახადისაგან ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის თბილისის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის განთავისუფლების შესახებ.

158. მუზეუმი „მეტეხი"-ს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს გამგებლობიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

159. მუსიკალურ სკოლების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ.

160. ომიანობის დროს სასოფლო-სამეურნეო პირუტყვისა და ფრინველის გადამდები სენით დაავადების შემთხვევაში კარანტინის დადგენის წესის შესახებ.

161. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ტ. ა. სხირტლაძის განთავისუფლების შესახებ.

162. საქართველოს სსრ იუსტსახკომის სანოტარო კანტორების ქსელის შემცირების შესახებ.

163. ამხ. ნ. ი. ციცაგის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

164. სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კანტორის სისტემაში ქსელისა და შტატების შემცირების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

152. სარეწაო საბჭოს სისტემაში ზოგიერთი სარეწაო კავშირების ლიკვიდაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. მიღებულ იქნას „სარეწაო საბჭოს" პრეზიდიუმის წინადადება ორი სარეწაო კავშირის—ქიმმრეწვკავშირის და სატრანსპორტო სარეწაო კავშირის ლიკვიდაციის შესახებ.

2. ლიკვიდირებულ სარეწაო კავშირების საწარმოო გეგმები განაწილებულ იქნას დარჩენილ სარეწაო კავშირების შორის.

3. ერთსა და იმავე რაიონებში არსებული წვრილი არტელები, რომლებიც სხვადასხვა სპეციალიზებულ სარეწაო კავშირებს ეკუთვნიან, გაერთიანებულ იქნან უფრო მსხვილ მრავალრეწვიან არტელებად.

4. სხვადასხვა სარეწაოს კავშირის მუშაობის მოცულობის საგრძნობ ზრდასთან დაკავშირებით გადასინჯულ იქნას აღნიშნული სარეწაო კავშირის შტატი სპეციალისტების საჭირო რაოდენობით მისი გაძლიერების მიზნით.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს კ. პ. (ბ) საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს გაუწიონ „სარეწაო საბჭოს" დახმარება ზემოდ აღნიშნული ღონისძიებების ადგილებზე განხორციელების საქმეში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს	საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის
თავმჯდომარის მოად. **გ. სტურუა.**	მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1941 წ. 17 სექტემბერი № 1692
თბილისი.

---

153. საქართველოს სსრ ჯანსახკომთან ევაკოგოსპიტლების სამმართველოს და წითელი არმიის ავადმყოფ და დაჭრილ მებრძოლთა და მეთაურთა მომსახურეობის დამხმარე კომიტეტის შექმნის შესახებ.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1941 წ. 22 სექტემბერს საქართველოს სსრ ჯანსახკომთან ევაკოგოსპიტლების სამმართველოს და წითელი არმიის ავადმყოფ და დაჭრილ მებრძოლთა და მეთაურთა მომსახურეობის დამხმარე კომიტეტის შექმნის შესახებ გამოტანილ დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატთან შეიქმნას ევაკოგოსპიტლების სამმართველო.

სამმართველოს უფროსად დამტკიცდეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ფიცხელაური გ. ზ.

2. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატთან ჩამოყალიბებულ იქნას წითელი არმიის ავადმყოფ და დაჭრილ მებრძოლთა და მეთაურთა მომსახურეობის დამხმარე კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: მაჭავარიანი ს. ნ.—თავმჯდომარე და წევრები: თოფურიძე ა. ე. (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.), ცქიტიშვილი გ. კ. (საქართველოს ალკკ ც. კ.), ჯორბენაძე (რკინიგზის მუშაკთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტი), ერისთავი კ. დ. (საქართველოს სამედიცინო საზოგადოება) და გიორგობიანი თ. რ. (სახვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა).

3. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატებთან და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებასთან შექმნან ევაკოგოსპიტლების განყოფილებანი, აგრეთვე პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ, პროფკავშირულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან ჩამოაყალიბონ წითელი არმიის ავადმყოფ და დაჭრილ მებრძოლთა და მეთაურთა მომსახურეობის დამხმარე კომიტეტები.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს	საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის
თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**	მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1941 წ. 23 სექტემბერი. № 1726.
თბილისი.

---

154. საქართველოს სსრ საშუალო სკოლის X კლასების მოსწავლეთა სამხედრო-ფიზიკური მომზადებისათვის საათების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წ. 27 აგვისტოს „საქართველოს სსრ საშუალო სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეთა სამხედრო-ფიზიკური მომზადების შესახებ“ (საქ. სსრ დადგ. კრ. 1941 წ. № 23, მუხ. 137) გამოცემული დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალო სკოლის X კლასის მომქმედი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული 4 საათის ნაცვლად სამხედრო-ფიზიკური მომზადებისათვის გამოყოფილი იყოს 5 საათი კვირაში მათემატიკის ერთი საათით შემცირების ხარჯზე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს
თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1941 წ. 23 სექტემბერი. № 1731.
თბილისი.

---

155. საშუალო და არასრული საშუალო სკოლების 7—10 კლასების მოსწავლეთა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ჩაბმის შესახებ.

„საშუალო და არასრული საშუალო სკოლების 7—10 კლასების მოსწავლეთა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ჩაბმის შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1941 წ. 2 ივლისს № 1802 გამოცემული დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. ნება დაერთოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების ყველა აღმასრულებელ კომიტეტებს ომიანობის დროს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და საწარმოთა დამხმარე მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ჩააბან ორგანიზებული წესით საშუალო და არასრული საშუალო სასოფლო და საქალაქო სკოლების 7—10 კლასების მოსწავლეები.

2. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ჩაბმულ მოსწავლეთა სამუშაო დღის ხანგრძლივობა განისაზღვროს 6-დან 8 საათამდე, მათი ასაკისა და სამუშაოს ხასიათის მიხედვით.

მოსწავლეთა ბრიგადები ჩამოყალიბებულ იქნას ვაჟებისა და ქალებისაგან ცალცალკედ, სკოლის მასწავლებლის მეთაურობით.

3. დაევალოს კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს, საბჭოთა მეურნეობების და საწარმოთა დამხმარე მეურნეობების დირექტორებს უზრუნველჰყონ მოსწავლეთა ბრიგადები სადგომით, კვებით, სამედიცინო მომსახურეობით და სატრანსპორტო-საშუალებებით.

4. დაწესდეს, რომ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე მოსწავლეთა და მასწავლებელთა მუშაობის აღრიცხვა და ანაზღაურება სწარმოებს საერთო საფუძველზე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს
თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1941 წ. 4 ოქტომბერი № 1785.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

156. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) დებულება საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის შესახებ, დამტკიცებული საქართველოს სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1933 წლის 14 დეკემბრის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 1, მუხ. 32);

ბ) საქართველოს სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1934 წლის 9 აპრილის დადგენილება „საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 10, მუხ. 101).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1941 წ. 29 აგვისტო № 1581.
თბილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის შესახებ

I. საერთო დებულებანი

1. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის 56 და 58 მუხლების შესაბამისად, წარმოადგენს რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატს და თავის მოქმედებაში უშუალოდ ემორჩილება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი ხელმძღვანელობას უწევს სოციალური უზრუნველყოფის საქმეს საქართველოს სსრ-ში, წარმართავს და ამოწმებს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატების, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონულ საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებათა მუშაობას და უშუალოდ განაგებს რესპუბლიკური ქვემდებარეობის დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

3. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის სათავეში დგას სახალხო კომისარი, რომელსაც ჰყავს ერთი მოადგილე.

4. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის 52 მუხლის შესაბამისად, ხელმძღვანელობას უწევს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის და მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა მთელ მუშაობას.

5. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის 53 მუხლის შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს მომქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და შესასრულებლად და ამოწმებს მათს შესრულებას.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ბრძანებანი და ინსტრუქციები სავალდებულოა აფხაზეთის და აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატებისათვის, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებისათვის, სოციალური უზრუნველყოფის ყველა საქალაქო და რაიონულ განყოფილებისათვის და სოციალური უზრუნველყოფის სხვა ორგანოებისა, დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის, რომლებიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე იმყოფებიან.

6. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი შეაჩერებს და გააუქმებს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისრების, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების, სოციალური უზრუხველყოფის საქალაქო და რაიონული განყოფილებების, აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის სისტემის კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და განკარგულებებს, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან კანონებს, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

7. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი დანიშნავს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის აპარატის მუშაკებს და მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი და ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგის და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებათა გამგეების დანიშვნას.

II. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის გამგებლობის საგნები

8. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი:

ა) მომქმედი კანონების საფუძველზე ანხორციელებს სახელმწიფო სოციალურ უზრუნველყოფას პენსიებითა და დახმარებით, აწყობს სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებათა ქსელს და ხელმძღვანელობს მათს მუშაობას;

ბ) ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევს იმას, რომ ცხოვრებაში გატარდეს სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის შესახებ გამოცემული კანონები; შეიმუშავებს კანონების და დადგენილებების პროექტებს სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის დარგში;

გ) ანხორციელებს ინვალიდთა შრომითს მოწყობას საინვალიდო კოოპერაციის სისტემაში და კონტროლს უწევს ინვალიდთა შრომითს მოწყობას სახელმწიფო მრეწველობასა და სარეწაო კოოპერაციაში;

დ) აწყობს და ანხორციელებს ინვალიდთა მასობრივ პროფტექნიკურ სწავლებას, ანხორციელებს სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის საბავშვო სახლებში მყოფ ინვალიდ ბავშვთა სწავლებას; ხელმძღვანელობს მის გამგებლობაში არსებულ სასწავლებლებს; შეიმუშავებს და დაამტკიცებს სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის სისტემის სასწავლებელთა დებულებებსა და წესდებებს;

ე) აწყობს სოციალურ უზრუნველყოფაზე აყვანილთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას და ღებულობს ზომებს მათ უზრუნველსაყოფად სამკურნალო-პროფილაქტიკური და სასანატორო-საკურორტო დახმარებით;

ვ) შეადგენს საქართველოს სსრ-ში სოციალური უზრუნველყოფის საქმის განვითარების გეგმებს, ხელმძღვანელობს სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოებისა და რესპუბლიკური მნიშვნელობის დაწესებულებათა საგეგმო და საფინანსო მუშაობას;

ზ) კონტროლს უწევს რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებით სოციალური უზრუნველყოფისათვის გაღებული სახსრების ხარჯვას;

თ) ხელმძღვანელობს სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებისა და საწარმოებისათვის საჭირო ხელმძღვანელი მუშაკების განაწილებას, მომზადებასა და გადამზადებას;

ი) ხელმძღვანელობას უწევს შრომის საექიმო-საექსპერტო კომისიების მუშაობას;

კ) აწყობს საპროტეზო წარმოებას და ხელმძღვანელობს პროტეზირების საქმეს;

ლ) ხელმძღვანელობს მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოთა და დაწესებულებათა მშენებლობისა და კაპიტალური რემონტის საქმეს;

მ) ხელმძღვანელობს სასოფლო-სამეურნეო არტელების წევრთა საზოგადოებრივი ურთიერთდამხმარე სალაროების საქმიანობას;

ნ) გამოსცემს ლიტერატურას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე;

ო) ანხორციელებს სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერაციის კავშირის (საქკოოპინკავშირის), ინვალიდთა ურთიერთდაზღვევისა და ურთიერთ დამხმარე სალაროების სრულიად საქართველოს კავშირის (საქკოოპინდამზღვევ-სალაროს), სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების, სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების და საქართველოს სსრ სოცუზრუნ-ველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული სასწავლო-საწარმოო კომბინატის ხელმძღვანელობასა და კონტროლს;

პ) ამტკიცებს მის სისტემაში შემავალ ან მის გამგებლობაში მყოფ ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და საწარმოთა დებულებებს და წესდებებს;

რ) ხელმძღვანელობს სოციალისტური შეჯიბრების და სტახანოვური მოძრაობის გაშლას და ხელს უწყობს სტახანოვური მუშაობის საუკეთესო გამოცდილების გადატანას სოციალური უზრუნველყოფის სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

III საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის სტრუქტურა

9. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში იქმნება:

1) შ რ ო მ ი ს ა და ო მ ი ს ი ნ ვ ა ლ ი დ თ ა პ ე ნ ს ი ო ნ ი რ ე ბ ი ს გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა და შ რ ო მ ი ს ს ა ე ქ ი მ ო - ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო კ ო მ ი ს ი ა — ხელმძღვანელობს პენსიებისა და დახმარების დანიშვნას და მიცემას შრომის ინვალიდებისათვის, ომის, სამხედრო სამსახურის ინვალიდებისათვის და სხვა კატეგორიის პენსიონერებისათვის, აგრეთვე აღნიშნულ პირთა ოჯახებისათვის, რომლებმაც მარჩენალი დაჰკარგეს, და ომიანობის დროს მუშურ-გლეხური წითელ არმიასა და მუშურ-გლეხურ წითელ სამხედრო-საზღვაო ფლოტში გაწვეულთა ოჯახებისათვის; ამოწმებს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატების, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების, სოციალური უზრუნველყოფის საქალაქო და რაიონულ განყოფილებათა მუშაობას პენსიებისა და დახმარების დანიშვნის და გაცემის ხაზით და ინსტრუქტაჟს უწევს მათ ამ დარგში; ხელმძღვანელობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის საექიმო-საექსპერტო კომისიების და ამ კომისიათა უფროსი ექიმების მუშაობას; შეიმუშავებს შრომის საექიმო-საექსპერტო კომისიების მუშაობის დარგში სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებისათვის მისაცემ სადირექტივო მითითებათა პროექტებს; ანხორციელებს ღონისძიებებს შრომის საექიმო-საექსპერტო კომისიების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და სხვ.

2) პერსონალური და აკადემიური პენსიების განყოფილება—პერსონალური პენსიებით უზრუნველჰყოფს იმ პირებს, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით რესპუბლიკის წანაშე, აკადემიური პენსიებით უზრუნველყოფს მეცნიერ მუშაკებს, ხელმძღვანელობს პერსონალურ პენსიონერთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეს და კონტროლს უწევს ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალური პენსიებით უზრუნველყოფას.

3) ინვალიდთა შრომითი მოწყობისა და სწავლების განყოფილება—ხელმძღვანელობს სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში და კურსებზე ინვალიდთა სწავლების საქმეს; შეიმუშავებს და დაამტკიცებს სასწავლო გეგმებს, პროგრამებს, სასწავლო სახელმძღვანელოებს და სხვ.; აწესრიგებს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველჰყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული სასწავლო-საწარმოო კომბინატის სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების სასწავლო და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო რეჟიმს; გეგმავს და ხელმძღვანელობს სოციალური უზრუნველყოფის სისტემის საწარმოებში ინვალიდთა შრომითი მოწყობის საქმეს და კონტროლს უწევს სხვა უწყებებში ინვალიდთა შრომითი მოწყობის საქმეს; წინასწარ განიხილავს ზედამხედველობის წესით ინვალიდთა კოოპერაციის არტელების წევრთა შრომითს კონფლიქტებს.

4) კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი ურთიერთდამხმარე სალაროების განყოფილება — ხელმძღვანელობს სალაროების მოწყობას და მათ საქმიანობას; შეიმუშავებს კოლმეურნეობათა ურთიერთდამხმარე სალაროების საფინანსო გეგმებს რაიონების მიხედვით; გეგმავს სახლების მოწყობას მოხუცი კოლმეურნეებისათვის; პრაქტიკულ დახმარებას უწევს სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივ ორგანოებს მოხუც კოლმეურხეთა სახლების მომარაგების საკითხებში; ანხორციელებს ხელმძღვანელობას და კონტროლს უწევს კოლმეურნეთა ობოლი ბავშვების მოწყობისა და უზრუნველყოფის საქმეს.

5) საგეგმო-საფინანსო განყოფილება — ხელმძღვანელობს სოციალური უზრუნველყოფის, კაპიტალურ მშენებლობის საგეგმო მუშაობას, სტატისტიკურ აღრიცხვასა და ანგარიშგებას; შეიმუშავებს დაგეგმვის, სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიას; შეადგენს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ნაკრებ წლიურ და კვარტალურ გეგმებს და ამ გეგმებს დასამტკიცებლად წარუდგენს სახალხო კომისარს, აგრეთვე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ფინანსთა სახალხო კომისარიატს; ანხორციელებს კონტროლს კაპიტალურ სამუშაოთა შესრულებისადმი; ხელმძღვანელობს საფინანსო მუშაობას, საბუხჰალტრო აღრიცხვასა და ანგარიშგებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეადგენს ნაკრებ წლიურ და კვარტალურ საფინანსო ანგარიშებს და ამ ანგარიშებს დასამტკიცებლად წარუდგენს სახალხო კომისარს და საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს; კონტროლს უწევს რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებით სოციალური უზრუნველყოფისათვის გაღებული სახსრების ხარჯვას და ატარებს სოციალური უზრუნველყოფის იმ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საფინანსო საქმიანობის რევიზიას, რომელთა დაფინანსებაც რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ხდება.

6) ინსპექტორი კადრების დარგში — ხელმძღვანელობს სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებისა და საწარმოებისათვის საჭირო ხელმძღვანელ მუშაკთა კადრების აღრიცხვას, შერჩევას, განაწილებას, მომზადებას და გადამზადებას და კონტროლს უწევს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატების, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებების მუშაკთა კადრების შერჩევას; აწარმოებს უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა აღრიცხვას, რომლებიც სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის სისტემაში მუშაობენ.

7) უფლებრივი ჯგუფი და არბიტრაჟი.

8) საქმეთა მმართველობა.

9) სპეცგანყოფილება.

10) საკონტროლო-საინსპექტორო ჯგუფი სახალხო კომისართან.

10. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში სახალხო კომისრის თავმჯდომარეობით იქმნება კოლეგია, რომელიც მართავს რეგულარულ სხდომებს და განიხილავს პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევის საკითხებს, განყოფილებათა ანგარიშებს, სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოების მუშაკთა ანგარიშებს, უმნიშვნელოვანეს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ტარდება საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისრის ბრძანებათა სახით.

11. სახალხო კომისარსა და კოლეგიას შორის უთანხმოების წამოჭრის შემთხვევაში სახალხო კომისარი ცხოვრებაში ატარებს თავის გადაწყვეტილებებს და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისრის წარდგენით.

12. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალური უზრუნველყოფის ხელმძღვანელ და ადგილობრივ მუშაკთა, სტატისტიკოსთა, ნოველთა, დამკვრელთა გამოცდილების გამოყენების მიზნით, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის მიზნით, პერიოდულად მოიწვევს სოციალური უზრუნველყოფის სისტემის მუშაკთა აქტივს.

---

157. სანახაობათა და გასართობების გადასახადისაგან ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის თბილისის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის თბილისის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი განთავისუფლებულ იქნას სანახაობათა და გასართობების გადასახადისაგან 1942 წ. 1 იანვრამდე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1941 წ. 5 სექტემბერი № 1624
თბილისი.

---

158. მუზეუმი „მეტეხი"-ს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს გამგებლობიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამგებლობაში გადაცემის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

კულტურისა და ხელოვნების ისტორიის მუზეუმი „მეტეხი" საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს გამგებლობიდან გადაცემულ იქნას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამგებლობაში.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1941 წ. 8 სექტემბერი. № 1648.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

159. მუსიკალურ სკოლების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს წინადადება და ნებადართულ იქნას 1941 წ. 1 სექტემბრიდან მუსიკალურ სკოლების გადაყვანა სრულ სამეურნეო ანგარიშზე.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დაამტკიცოს მუსიკალურ სკოლებში სწავლის ფასი სათანადო რაოდენობით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს 1941 წ. მეორე ნახევარში ადგილობრივ ბიუჯეტთან ანგარიშის გასწორების დროს მიიღოს მხედველობაში ეკონომია, რომელიც მუსიკალურ სკოლების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შედეგად იქნება მიღებული.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1941 წ. 8 სექტემბერი. № 1649.
თბილისი.

---

160. ომიანობის დროს სასოფლო-სამეურნეო პირუტყვისა და ფრინველის გადამდები სენით დაავადების შემთხვევაში კარანტინის დადგენის წესის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1941 წ. 2 სექტემბერს „ომიანობის დროს სასოფლო-სამეურნეო პირუტყვისა და ფრინველის გადამდები სენით დაავადების შემთხვევაში კარანტინის დადგენის წესის შესახებ“ გამოცემული № 2029 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განისაზღვროს, რომ ომიანობის დროს სასოფლო-სამეურნეო პირუტყვისა და ფრინველის გადამდები სენით დაავადების შემთხვევაში კარანტინს აწესებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, რასაც შემდგომ აცნობებს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

2. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს, სავეტერინარო ორგანოებს, აგრეთვე კოლმეურნეობათა გამგეობებს, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოთა დირექტორებს, რომ ზემოხსენებული წესით კარანტინის გაფორმებამდე დაუყოვნებლივ მიიღონ ყველა საჭირო ზომები ავადმყოფ პირუტყვის იზოლირებისა და დაავადების კერების სასწრაფოდ ლიკვიდაციისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაწესდეს, რომ კარანტინის მოხსნა ხდება იმავე წესით, როგორც მისი შემოღება.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულ სახელმწიფო სავეტერინარო ინსპექტორს სისტემატურად აწარმოოს კარანტინის სწორად დაწესებისა და მოხსნის, აგრეთვე საკარანტინო ღონისძიებათა შესრულების შემოწმება.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ს. ხოშტარია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1941 წ. 8 ოქტომბერი № 1816.
თბილისი.

---

161. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ტ. ა. სხირტლაძის განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

წითელ არმიაში მობილიზაციასთან დაკავშირებით განთავისუფლებულ იქნას მის მიერ დაკავებულ თანამდებობისაგან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ტ. ა. სხირტლაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1941 წ. 15 ოქტომბერი. № 1855.
თბილისი

---

162. საქართველოს სსრ იუსტსახკომის სანოტარო კანტორების ქსელის შემცირების შესახებ.

ომიანობის დროის პირობებში სანოტარო ორგანოების მუშაობის მოცულობის შემცირებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1941 წ. 1 ნოემბრიდან ლიკვიდირებულ იქნან სანოტარო კანტორები შემდეგ რაიონებში: ახალქალაქის, ლუქსემბურგის, დუშეთის და ონის.

2. წინადადება მიეცეს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, ამ დადგენილების შესაბამისად, გადასინჯონ სანოტარო კანტორების ქსელი მათი მნიშვნელოვნად შემცირების მიზნით.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მთელი თანხა, მიღებული ლიკვიდირებული სანოტარო კანტორების სა-ტატო ერთეულების და სხვა ხარჯების შემცირების ეკონომიისაგან, დასტოვოს საბიუჯეტო ანგარიშზე, როგორც შტატების შემცირების ეკონომია.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1941 წ. 23 ოქტომბერი. № 1895.
თბილისი.

---

163. ამხ. ნ. ი. ციცაგის საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნას ამხ. ნ. ი. ციცაგი საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილის მოვალეობისაგან ამიერ კავკასიის ფრონტის პოლიტსამმართველოს განკარგულებაში მივლინებასთან დაკავშირებით.

2. დაინიშნოს ამხ. დ. ნ. ბუაჩიძე საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1941 წ. 29 ოქტომბერი. № 1935.
თბილისი.

---

164. სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კანტორის სისტემაში ქსელისა და შტატების შემცირების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რეორგანიზებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო ბანკის განყოფილებანი რწმუნებულთა პუნქტებად შემდეგ რაიონებში: ბორჩალოს, გეგეჭკორის, გორის, ზუგდიდის, ქუთაისის, ლანჩხუთის, მახარაძის, ფოთის, სიღნაღის, თბილისის, წალენჯიხის, ცხაკაიას, გალის და ქობულეთის.

სასოფლო-სამეურნეო ბანკის ოპერაციების ბუხჰალტრული გაფორმება ამ რაიონებში დაევალოს სახელმწიფო ბანკის სათანადო განყოფილებებს.

2. შემცირდეს შტატი 1 ერთეულით სასოფლო-სამეურნეო ბანკის შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რწმუნებულთა პუნქტებში: აბაშის, ამბროლაურის, ახალციხის, ახალქალაქის, ბაშკიჩეთის, ბორჯომის, ვანის, ყარაიის, მაიაკოვსკის, მცხეთის, ორჯონიკიძის ტყიბულის, წითელწყაროს, წულუკიძის და ჩხარის რაიონებში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ს. როსტიაშვილი.**

1941 წ. 29 ოქტომბერი. № 1945.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მისამართისათვის

ფასი 40 კაპ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. 28.

შეკვეთა № 30. ტირაჟი 1.600.